განკარგულება:**g-31. 312320711**
თარიღი:**26/07/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №59

2023 წლის 26 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და 108-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2023 წლის 20 ივლისის N5/39767 მომართვა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის: სოფელ ეწერში მდებარე 160.00 კვ.მ. ს/კ (27.11.47.239) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის (ს/ნ 402157330) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი